კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორის

ბრძანება

MOD 0 19 00000024 14/06/2019

წარმომადგენლობითი ხარჯების გაცემის შესახებ

"საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 14 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე - 6 მუხლის "დ" და "რ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროებს შორის, 2019 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, 2019 წლის 18 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით, გერმანიის თავდაცვის სამინისტროს 2-კაციანი დელეგაციის კიბერუსაფრთხოების ბიუროში ვიზიტის ორგანიზებულად ჩატარებისა და საპროტოკოლო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, დაევალოს:
ა) განვითარების და საგარეო ურთიერთობების განყოფილებას, მიმდინარე წლის 17 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით, სტუმრების განთავსების, კვების და შიდა გადაადგილების ორგანიზება.
ბ) საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს, ბრძანების პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფა, ასევე საპროტოკოლო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ქართული ღვინის (1 ბოთლი) შეძენა/გამოყოფა.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.:დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; №6).

საფუძველი: მ. აბულაძის 12.06.2019წ. NMOD 8 19 00593106 მ/ბ.

კიბერუსაფრთხოების ბიურო / მმართველობა
დირექტორი
ლევან გიორგობიანი

MOD 8 19 00593106

12/06/2019

კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორს
ბატონ ლევან გიორგობიანს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროებს შორის 2019 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის მიხედვით, ა.წ. 18-20 ივნისს დაგეგმილია გერმანიის თავდაცვის სამინისტროს 2-კაციანი დელეგაციის ვიზიტი კიბერუსაფრთხოების ბიუროში კიბერთავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს უზრუნველყონ შემდეგი ღონისძიებები ვიზიტის ჩატარების მიზნით:

- განთავსება ქ.თბილისში (17 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით);
- კვებით უზრუნველყოფა;
- შიდა გადაადგილება;
- 1 ბოთლი ქართული ღვინო.

პატივისცემით,

კიბერუსაფრთხოების ბიურო / განვითარებისა და
საგარეო ურთიერთობების განყოფილება
განყოფილების უფროსი
მაია აბულაძე